# ჰომეროსიდან რუსთაველამდე

უძველესი საკულტო და საერო ნაგებობების, ქრისტიანული ტაძრების კომპოზიცია უმკაცრესი პროპორციებით, მოცულობათა გეომეტრიული სიზუსტით გამოირჩევა. სილამაზეს, მშვენიერებას, ამაღლებულობას შემოქმედი ყოველი დეტალის, ცალკეული ელემენტის ერთ კომპოზიციურ არეალში თავმოყრით აღწევს. ზუსტად ასეთივეა ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციაც. უხსოვარი დროიდან მოყოლებული, სწრაფვა იდეალურისაკენ, სრულყოფისაკენ მხატვრული აზროვნების განვითარების საფუძველია, ლიტერატურული ნაწარმოების ძირითადი, უმთავრესი მაორგანიზებელი პრინციპია. ამიტომ კომპოზიციური მთლიანობისა და ერთიანობის შექმნა-შეკვრა, შეთანხმებულობა, შემოქმედებით უნართან ეთრად, სამყაროსა და მისი ნაწილების ფარული შრეების ცოდნას მოითხოვს. ცხადია, უმნიშვნელოვანესია ინტუიციური წვდომაც. ე.წ. გეომეტრიული სტრუქტურის ეპოქაში შექმნილი ჰომეროსის პოემებისა და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების კლასიკურ პერიოდში შექმნილი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა ეპიკური ჟანრის კანონებს ემყარება, მათი „მზიდი კონსტრუქციის“ განმსაზღვრელი მათივე კომპოზიციაა, ის სტრუქტურული სიმეტრიაა, რაც, შეიძლება ითქვას, მათემატიკური სიზუსტით გამოირჩევა.

ზაზა ხინთიბიძის მონოგრაფიის „ჰომეროსი და რუსთველი. კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები და ეპიკური ტრადიცია“ - მთავარი მიზანდასახულებაა კვლევა იმისა, თუ რა კავშირურთიერთობა შეიძლება დავინახოთ მსოფლიო ეპიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს შორის. ჰომეროსი, რუსთველი, დანტე, შექსპირი, გოეთე  მართალია, სხვადასხვა ეპოქალურ დონეზე შექმნილი, მაგრამ ეპიკური ტრადიციის ჩამოყალიბების ურთულესი და ძალზე ხანგრძლივი გზის მაჩვენებელი ერთიანი ლიტერატურულ-კულტურული კონტექსტია. ეს გზა უდიდეს შემოქმედთა მხატვრულ მემკვიდრეობაზე, სახეობრივ აზროვნებაზე გადის. წარმოდგენილ ნაშრომში პირველადაა პარალელურად შესწავლილი ჰომეროსისა და რუსთველის პოემების კომპოზიციური ორგანიზაციის საკითხები. აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, მეტიც, ისინი ერთნაირი კომპოზიციური სტრუქტურით აგებულ მხატვრულ ნაწარმოებებადაა მიჩნეული, რასაც მეტი დამაჯერებლობა შესძინა ჯადოსნური ზღაპრის ვ.პროპის მიერ დადგენილი სტრუქტურის უნიკალური თეორიული საფუძვლების მიხედვით შესწავლამ.

მკვლევარმა მიზნად დაისახა ჰომეროსის პოემების კომპოზიციური ორგანიზაციის პრინციპების შესწავლა და შოთა რუსთველის პოემაში ამ პრინციპების მოძიება, რისთვისაც საჭირო გახდა იმ გზის ჩვენება, თუ როგორ უნდა შექმნილიყო „ილიადა“ და „ოდისეა“, ზეპირი თუ წერილობითი გზით. მან განიხილა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კონცეფციები „ზეპირი“ და „წერილობითი ჰომეროსის“ შესახებ, წარმოაჩინა კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები და „წერილობითი ჰომეროსის“ კონცეფციის უპირატესობის საფუძვლები, თვალი გაადევნა ეპიკური ტრადიციის ჩამოყალიბებას და დეტალურად შეისწავლა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურული სიმეტრია, ერთი მხრივ, ჰომეროსული ერთიანობის შესახებ არისტოტელეს შეხედულებათა საფუძველზე, მეორე მხრივ, თვით რუსთველური პროლოგისეული თეორიული ნაწამძღვრების საფუძველზე, რამაც შესაძლებლობა მისცა „ვეფხისტყაოსნის“ დრამატულ-სტრუქტურული ერთიანობის ტრადიციული და ნოვატორული ასპექტების ჩვენებისა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზაზა ხინთიბიძე სამართლიანად მთლიანად არ გამორიცხავს ზეპირ გზას ჰომეროსის პოემების შექმნაში სათანადო საბუთებზე დაყრდნობით, მთავარი კი ისაა, რომ ეს გზა მხოლოდ საშუალებად შეიძლებოდა გამოყენებულიყო და ავტორსვე უნდა მიეცა მისთვის წერილობითი სახე. სხვაგვარად ის ინდივიდუალობა, რაც, ჩვეულებრივ, მწერლის პოეტურ ხელწერად ინოდება, ვერც გვექნებოდა.

როგორც ცნობილია, პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული, მხატვრული ლიტერატურის შესახებ თეორიული კუთხით წარმართული მსჯელობა კონცეპტუალურ სქემას ემყარებოდა, რაც მხატვრული პრინციპების, ესთეტიკური კატეგორიების მსგავსებათა და სხვაობათა ერთობლიობას გულისხმობდა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხსენებულ ფილოსოფოსთა და ლიტერატურის პირველ თეორეტიკოსთა ნააზრევს ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების, მით უმეტეს, ჰომეროსისა და რუსთველის თხზულებების, კომპოზიციის კვლევის საქმეში. სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ ხანებში ანალიტიკოსთაგან მკვეთრად, შეიძლება ითქვას, დიამეტრულად განსხვავებულ, უნიტარისტულ პოზიციებზე მდგომი მკვლევარების ნაშრომებში დეტალურადაა შესწავლილი ჰომეროსის ეპოსისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური სიმწყობრის მაღალი ხარისხი, რის უმთავრეს მაორგანიზებელ მხატვრულ პრინციპებად ნაშრომში მიჩნეულია განმეორებადობა, ანუ ეპიკური ტრადიციის არსებობა, პარალელიზმი და სიმეტრია. რასაკვირველია, ეს, სავსებით მართებულად, კანონზომიერად და ორგანულად უკავშირდება ე.წ. გეომეტრიული ეპოქის, ძვ. წ. IX-VIII სს.,საბერძნეთისათვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნების პრინციპებს.

ქრესტომათიულ დონეზეც ცნობილია, რომ ჰომეროსის პოემები წრიული კომპოზიციის მქონე მხატვრული ნაწარმოებებია, გამოირჩევიან მოქმედების ერთიანობით და ამ საფუძველზე მჟღავნდება მათი გმირების ინდივიდუალური ბუნება. ასეთივე თვალსაზრისი, პოემის კომპოზიციის წრიულობა, გამოითქვა „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებითაც. ზაზა ხინთიბიძემ პრობლემა უფრო სიღრმისეულად განიხილა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ამ დებულებას ახალი არგუმენტებით გაუმაგრა საფუძველი.

მონოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიგვაჩნია მეტად საგულისხმო ფაქტი: ზაზა ხინთიბიძე კვლევის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ილიადასა“ და „ოდისეას“ თავდაპირველ, მოკლე და ზეპირ რედაქციებში დრამატული პარტიების „შეტანა“ და ამ გზით მათი წერილობითი ფორმით გაფართოება მონუმენტურ, ამჟამად ცნობილ ზომამდე ჰომეროსისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ შემოქმედებით ინოვაციურობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ, როგორც თავადვე აღნიშნა, ორი არსებითი ხასიათის მქონე კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დარჩა: 1. პოემების გაფართოება თავად ჰომეროსის მიერ უნდა მომხდარიყო და ამდენად, ძვ.წ. VIII-VII სს. მიჯნაზე განხორციელებულიყო, თუ, როგორც ეს ზეპირი პოეზიის თეორიის მომხრეებს მიაჩნიათ, სხვა, კერძოდ კი, პისისტრატოსის დროს (ძვ.წ. VI ს.) მოღვაწე პოეტის ან პოეტების მოღვაწეობის შედეგი უნდა ყოფილიყო? 2. ჰომეროსის მიერ დიალოგების შეტანის გზით პოემათა ტექსტების თანდათანობითი გაფართოების პროცესი ზეპირთან ერთად წერილობითი გზითაც მიმდინარეობდა, თუ მხოლოდ ზეპირად, როგორც ეს ზეპირი პოეზიის თეორიის მომხრეებს მიაჩნიათ?. ჰომეროლოგიის ამ ერთ-ერთ უმთავრეს საკვანძო კითხვას ნაშრომში პასუხი რუსთველოლოგიური პრობლემების, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციური ორგანიზაციის პრინციპების გათვალისწინებით გაეცა, რაც, ვფიქრობ, ახალი კუთხით წარმოაჩენს შოთა რუსთველის პოემის მნიშვნელობას, ღირსებას და იმას ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თავს იყრის მრავალი განსხვავებული ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების მონაპოვარი. შოთა რუსთველმა ორიგინალური მხატვრული ინტერპრეტაციით, მწყობრი კომპოზიციური სისტემით მიანოდა მკითხველს, ერთი მხრივ, ქართული, მეორე მხრივ, მსოფლიო კულტურულ-ლიტერატურული მიღწევები, ჰუმანური იდეები, რის გამოც სავსებით ბუნებრივად აღიქმება ის დიდი ინტერესი და ყურადღება, რასაც ქართველი ერი საუკუნეთა მანძილზე ამჟღავნებდა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. რუსთველმა თავისი პოემა შექმნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარზე მდებარე ქვეყანაში, სადაც განსხვავებული რელიგიები, ტრადიციები, კულტურები ხვდებოდნენ ერთმანეთს და ისე თანაარსებობდნენ,რომ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დაპირისპირება, რაც საუკუნეთა განმავლობაში ახლდა საქართველოს ურთიერთობას ახლო ქვეყნებთან, არასოდეს გადაზრდილა კულტურულ დაპირისპირებაში, ვინაიდან ჩვენი წინაპრებისათვის კულტურა პოლიტიკაზე მაღლა იდგა ყოველთვის.

ზაზა ხინთიბიძის მონოგრაფიაში ნაჩვენებია ეპიკური ტრადიციის განმაპირობებელი ფაქტორები და რუსთველიდან ჰომეროსამდე კომპოზიციური ორგანიზაციის უკუძიებით მიღებულია დასკვნა, რომლის მნიშვნელობა სცილდება რუსთველოლოგიის, საზოგადოდ, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებს, რომ, არა მხოლოდ ჰომეროსის პოემების კომპოზიციის კვლევაა მნიშვნელოვანი რუსთველის პოემის კომპოზიციური ორგანიზაციის შესწავლისათვის, არამედ, პირიქითაც - „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურის, კომპოზიციის, რუსთველური შაირობისა და მიჯნურობის კვლევამ სიახლე შეიტანა ჰომეროლოგიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის დაისვა კითხვა, იცნობდა თუ არა შოთა რუსთველი არისტოტელეს „პოეტიკას“, მის თეორიულ შეხედულებებს და ირეკლება თუ არა „ვეფხისტყოასანში“ მისი ცოდნა; ზაზა ხინთიბიძემ არსობრივად, საფუძვლიანად შეისწავლა ეს პრობლემა და რუსთველისეული პოეტიკური, თეორიული კონცეფციის შესახებ ტრადიციულისაგან არსებითად განსხვავებული თვალსაზრისი წარმოადგინა. მისი აზრით, რუსთველური შაირობის თეორია ითვალისწინებს არისტოტელეს მიერ „პოეტიკაში“ ჩამოყალიბებული კონცეფციის ყველა ძირითად კომპონენტს, კერძოდ, ერთიანობას, სრულქმნილებას, ზომას, აზრის ნათლად - ცხადად გამოხატვას, ფილოსოფიურობას ანუ სიბრძნეს, კათარზისულობას ანუ გულის გამგმირაობასა და ყოველივე ამით მსმენელ-მკითხველისათვის სიამოვნების მინიჭებას. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, „თუ როგორ, რა გზით უნდა ითქვას, გადმოიცეს ვრცელი სიუჟეტი მოკლედ იმგვარად, რომ ლექსი, ნაწარმოები მაინც დარჩეს გრძელი, ეპიკური ჟანრისად“, რაც შოთა რუსთველის პოემის „წყობილი“ და „სრულქმნილი“ კომპოზიციის საფუძველი ხდება.

სიახლეა „ილიადას“ სიუჟეტისა და კომპოზიციის შესწავლაშიც, როდესაც ზაზა ხინთიბიძე კალიმახეს, ავთანდილის, ტარიელისა და ოდისევსის მსგავსად მასშიც პოულობს „მოპოვება, დაკარგვა, ძებნა, კვლავ მოპოვების ანუ პოვნის“ უძველეს ფოლკლორულ მოტივს, რომელიც თავისი კლასიკური ფორმით „ილიადაში“ რამდენიმე პერსონაჟის ამბის ფარგლებში დასტურდება. აქამდე ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა აღნიშნული. ამავე თვალსაზრისითაა დაკვირვებები ნარმართული „ვეფხისტყაოსანზეც“, თუმცა, როგორც თავად ავტორიც აღნიშნავს, ამ მოტივზე რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც გაუმახვილებიათ ყურადღება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ზაზა ხინთიბიძის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზაციის თვალსაზრისით საყრდენი ანუ ძირითადი ამბის შესახებ გამოთქმული შეხედულება. ეს ავთანდილის თავგადასავალია. მისი სიტყვით, სწორედ ავთანდილ-თინათინის ამბავშია ჩასმული თუ ჩაწნული ნაწილ-ნაწილ ტარიელნესტან-დარეჯანის ამბავი და არა პირიქით. ამ ფაქტით ამაგრებს იგი იმ საკამათო პრობლემის შესახებ ერთ-ერთ პოპულარულ შეხედულებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ავთანდილ-თინათინის ამბით უნდა დამთავრდეს. მისი აზრით, პოემის დასაწყისსა და დასასრულში, კომპოზიციური თვალსაზრისით, სწორედ ავთანდილია ე.წ. დამოუკიდებელი გმირი, რომელსაც არ ეკისრება ტარიელთან მიმართებით დამხმარე პერსონაჟის ფუნქცია და მხოლოდ საკუთარი ამბის ფარგლებში მოქმედებს, რის საფუძველზეც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი პოემის თავდაპირველი სტრუქტურის არაორგანული ნაწილია.

აგრეთვე საყურადღებოდ მიმაჩნია მონოგრაფიის ის თავი, რომელშიც საუბარია კირკესა და ფატმანის, ვითარცა პერსონაჟების, ინტერპრეტაციაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ძალზე საინტერესო შედარებაა და, შეიძლება ითქვას, სიახლე ლიტერატურათმცოდნეობაში..

ზაზა ხინთიბიძის ნაშრომში შენიშნულია სიუჟეტის განვითარების, კომპოზიციური ორგანიზაციის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ეპიკური ნაწარმოების გმირთა ორსვლიანობის შესახებ. ვფიქრობ, ეს მიგნება საფუძველი გახდება ჰომეროსისა და შოთა რუსთველის პოემების პერსონაჟთა ახალი კუთხით განხილვისა, ვინაიდან გმირთა ორსვლიანობა ლიტერატურული ნაწარმოების ორგანიზებულობას, სიუჟეტისა და კომპოზიციის სრულყოფილებას მოწმობს. ამ თვალსაზრისით აქილევსის, ოდისევსის, ტარიელის, ავთანდილის, როგორც მთავარი პერსონაჟების, განხილვა უთუოდ მნიშვნელოვანი სიახლეა როგორც ლიტერატურის ისტორიკოსთათვის, ისე ლიტერატურის თეორიის სპეციალისტთათვისაც, და იგი მომავალი კვლევის პერსპექტივებსაც სახავს საერთოდ ეპიკური ჟანრის თხზულებათა შესწავლისათვის.




**ნესტან ხულავა**